სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01.05.04/273

ქ. თბილისი 18 ოქტომბერი 2018 წ.

სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ივ. ჯაგოდნიშვილის მოხსენებითი ბარათის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა ეკონომიკის დეპარტამენტის ივ. ჯაგოდნიშვილის 28.08.18 №01.09.33/5140 მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ოქტომბრის № 01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტში 2018-19 სასწავლო წლისათვის მოწვეულ იქნენ ნანა მაჭარაშვილი და ელენე ზურაბაშვილი პროფესორის თანამდებობაზე 400-400 საათიანი დატვირთვით 2019 წლის 1 აგვისტომდე.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე